თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 10 დეკემბერი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. ჯემალ ისაკაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. ლაშა გურგენიძე, 8. ნოდარი ხოხიაშვილი, 9. გიორგი ბერეკაშვილი, 10. ზურაბ ჩხივაძე, 11. სოსო ჩაფიჩაძე, 12.მირზა აფრიდონიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. იუზა უგრეხელიძე.

კომისიის შემადგენლობა: 13 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 12
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მ უნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29.29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282534235, 08.12.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ.თერჯოლაში, კოსტავას(ყოფილი გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282534386, 09.12.2025 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29.29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის N Nგ-29. 29253378 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2026-2030 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

დღეის მდგომარეობით, საჭიროა ახალ სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც გამოწვეულია ახალი საპროექტო წინადადებების დამატებით, კერძოდ:

1. სოფ. ზედა სიმონეთში წყლის სათავე ნაგებობასთან ჭაბურღილის მოწყობა;
2. სოფ. ალისუბანში რობაქიძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
3. სოფ. ეწერში ახალ უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
4. სოფ. ძევრში რობაქიძეები, ვერულაშვილები და ფანჩულიძეების უბანში საავტმობილო გზის რეაბილიტაცია;
5. სოფ. გოგნში ჭანტურიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
6. სოფ. გოგნში ტოფაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
7. სოფ. ქვედა სიმონეთში ჩხილაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
8. სოფ. ქვედა სიმონეთში ნიკოლაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია;
9. სოფ. ქვედა სიმონეთში ნიკოლაძეები-ხოხიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
10. სოფ. ბარდუბანში კეზევაძეების უბნიდან სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
11. სოფ. სკანდეში ღიბრაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
12. სოფ. კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
13. სოფ. სარბევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
14. სოფ. ოდილაურში გვენცაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
15. სოფ. ნახშირღელეში ლანჩავების უბნიდან ცენტრალურ გზამდე მისასვლელი გზის რეაბილტაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის №გ-29.29253378 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუხცრიკიძემ კომისიის წევრება გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ.თერჯოლაში, კოსტავას(ყოფილი გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს) განკარგულების პროექტი - აღნიშნული ფართი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს გადაცემული ჰქონდა 5 წლით ,ამჯერად ითხოვენ ხელშკრულების ვადის გაგრძელას 2 წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ.თერჯოლაში, კოსტავას(ყოფილი გიორგაძის) ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 519 კვ^2 მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 33.09.36.099) განთავსებულ შენობაში, 1 სართულზე არსებული 26.320 მ^2 არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადასცეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს).

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა,საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - კომიისიის შემადგენლობიდან გადის ჯემალ ისაკაძე.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-29.292530315 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე